

კამდამთავრებული: სოლოლაკი, სერ-
გიის ქუჩაზე, ი.ე. ამბროსის სახლ-
ში, № 8.

კანტორა კამდამთავრებული: სერ-
გიის ქუჩაზე, ი.ე. ამბროსის სახ-
ლებში, № 8.

ხელის-მოწერა, მიიღება ვანტო-
რაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Ти-
дись, ВЪ редакцію газ. „Д р о з б а“.

გაზეთის ფასი: მთელის წლი-
სა—3 მან., ნ ხუთწლისა—4 მ.ნ. და
50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს,
რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისათვის: პირ-
ვით ასობზე—1 კაპ., მთელი წლისათვის
სტროქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-
ცეროთ—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

კამდამთავრებული უფლება: ექვს გა-
სწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ
გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდ-
ელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-
დება.

დროება

ცალკე ნომერი ღირს შუაბათი

1 ნომერიდან წლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს ო.რ მანეთად

ხელის-მოწერა შეიძლება მთლი-
ან სხვა რედაქციას, სერგიის ქუჩა-
ზე, ი.ე. ამბროსის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ აღ-
ჩესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тиф-
мисъ. ВЪ редакцію газетъ „Д р о з б а“.

თვილ. სამოსაპართლო პალატის

განცხადება

ნინო ანდრეასის ძალის მოკვლის
თარგაზი

დღეს, ნამუშავეთს ორს საათზე, მთი-
ლისის სამოსაპართლო პალატამ დად-
გინა შემდეგი განჩინება ანდრეასის ქა-
ლის მკვლელობის თაობაზე:

მ. დავით ჩქოტუას და პეტრე ბა-
ბისონიის შესახებ პალატამ დაამტკი-
ცა ოლქის სასამართლოს ბარდაწ-
ყვამილება (ე. ი. დავით ჩქოტუას ჩა-
მორთვას ყოველი ღირსება და ოცის
წლით გაიგზავნოს სიმბირში-კატორღა-
ში და პეტრე ბაბისონიას ათის წლით
კატორღაში გაგზავნა).

მ. ნიკოლოზ ჩქოტუას შესახებ პა-
ლატამ არ მიიღო მხედველობაში ოლ-
ქის სასამართლოს პროკურორის პრო-
ტესტი და გადაწყვიტა იმის განთავისუ-
ფლება.

სამართლებლო

„დროებას“ ორგანოს განცხადება

სიღნაღი, 24 ნოემბერს. „დროების“
მკითხველებს ესტუმრებათ, თუ რა უწყსო-

ება და რა საწყისებარო ამბები მოუხდათ
მოულოდნელ შემთხვევებსა გამო ზოგს
სიღნაღის ახლო მდებარე სოფლებში
ჩვენ გულანდს და მამაც ქაზიყელებს.

მთუ როგორ შეხედეს ამ საქმეს, მო-
ვიყვანთ გამამტყუნებელ აქტიდან ალაგ-
სა, რომელიც ცხადთ გეჩვენებს თუ
რა იყო და რის ღირსია ამგვარი საქცი-
ელი ქიზიყელებსა. მოგვხანებათ ეჭ-
რეთვე, რომ ქიზიყელების არეულობა
ომიანობის დროს მოხდა და ამისთვის,
ღიღი მთავარის ბრძანებით, სამხედრო
სამსახურლოში გადავიდა და იმის გამო
გამამტყუნებელი აქტი შეადგინა სამხედ-
რო პროკურორის თანაშემწემ უ. ორნატ-
სკიმ, რომლის სიტყვებაც მთლიან მოვი-
ყვანთ, რაც კი შეეხება დასკვნას:

„მაისის ბოლოს 1878 წლისა სიღნა-
ღის უფლის სოფლებში—შემო და ქვე-
მო მაჩხანში, ანაგაში, მაქირში, ბოდ-
ბიხეში, მაშხანში, საქობოში და სხვ.
დაუძახეს ურმის ბეგარა ომის საქიროე-
ბისათვის.

„5 თებათვეს კიდევ იმავე სოფლებში
უნდა არჩეულიყო სამილიცო ხალხი
ამისთვის ახალი წირის-ყრის წესით მო-
საწოდებულ სიიებათ, რომლებიც აღრე-
ვე შემდგარნი იყვნენ და ანახებოდნენ
სამაზრო სამართლებლოში. მაგრამ, 4 თი-
ბათვეს, ხალხი დაადგა შემო-მაჩხანურ
მამასახლისს—წილის-ყრით მილიციო-
ნერებს არ მოგვემთო, და მამასახლისიც
აქავე მიტყაპეს.

„ზამოსადიებლათ და უფრო დასარი-
გებლათ მაზრის უფროსმა გაგზავნა ზე-
მო-მაჩხანში პრისტაის თანაშემწე ჯა-
ლიციევი,—რომელსაც ხალხი უშიშაროთ
ეძახოდა: „საღდათს არ მოგვემთო!“

—და როდესაც მან უბრძანა თავის ჩა-
ფარს ერთი მათგანი, რომელიც უფრო
ყველაზე მეტათ ყვიროდა, შეკრა—ხალხი
მივარდა და ეს ჩაფარიც გატყაპა. მაგ-
რამ ხალხი მალე დამშობდა და კიდევ
სთხოვა ჯალიციეს ეპატიებინა და დაპირ-
დნენ, რომ ამავე დღეს მაზრის უფროს-
თან დეკუტაციას გამოგზავნიოთ.

ამას გამო, სამაზრო სამართლებლოში
ამ სოფლებში წილის ყრა გადადევს
რამდენიმე ხნით და მაზრის უფროსმა
არჩივა მოეთხოვა დენერალ ორბელიან-
ისთვის ასი ყაზანი, რათა იმათი იმედით
დაუყოვნებლივ გაეტარებინა წილის-ყრი-
თი წესი. ამისთვის მგორე დღესვე უფ-

ღის უფროსი გრაფი ტიზენგაუზენი გაემ-
გზავრა ბაკურციხისკენ, ანაგის გზაზე,
საიღამაც დილით 5 თიბათვეს მოვიდა
ჩაფარი მათეშეილი, რომელიც წინაღ-
მეს მაზრის უფროსმა გაგზავნა ქვევითა
სოფლებში, რათა გავეცო ხალხის განზ-
რახვა, და მან მოიტანა ამათ, რომ ანა-
გაში შეკრულიყო ხალხი სრულათ მშვი-
დათ არის და წინა ღმდეგობას არ აუნდა
მოველოდეთ, მარტო ხალხს უნდა
სთხოვოს, რომ წილის-ყრის წესი შეც-
ვალონ. ანაგის ხევზე გრაფს შეხვდა ხალხი
500 სულამდის ანაგური, მაქირული,
მაშხანური და საქობოურები. რომლებ-
ბიც შემოეხვეწენ მაზრის უფროსის ტრო-
იკას, მომეტებულმა თავი დაუქრა და
მოახსენეს, რომ საღდათს წილიყრით
არ მისცემენ, და თუ ხეშეიფეს ნებაეს,
ისეც ყველანი მხათა ვარს, სამშობლოს
ზედ დაგვაკლას. ბრაჭმა აუხანათ, რომ
საღდათათ კი არ იღებენ იმათ, მილი-
ციონერებთ წილის-ყრით, რომ სხვა და
სხვა ბოროტ-მოქმედობა ავაშუროთ
თქვენე თაფილამ. ამის გამგონე ხალხი
დადინჯდა და ზოგმა კიდევ მოიხადეს
ქუდები და დაიძახეს: „ურა“ მაგრამ მა-
შინათვე ზოგმა დედაკაცებმა დაიციულეს
„არა, არ შეიძლება, არა!“ და ამის გ. მო
ხალხი ისევ აირივა.... მივარდა ანაგურ
მამასახლისს, ჯაჯვი ააგლოჯეს და დაუწ-
ყეს ცემა.

„ნახა რა, შემწეობას ვერას მისცემდა
გალახულ მამასახლისს, გრაფი არეულ
ხალხს მოშორდა და ტრთიკით გასწივა
ბაკურციხისკენ პირ-და-პირ თ. რევან
მაჩხანის სახლში, სადაც დღეობის გამო
მრავალი სტუმრები ჰყვანდა, სხვათა მო-
რის დენერალ ორბელიანს, პროკურო-
რი მუდიმ-ლეკოვიჩი, გამომამხედველი
ხოსროვეი და სხვ. ხალხმა დაინახა რა
გამგზავრებული გრაფი, დაედგნენ ჯო-
ნებით და ქვეს სროლით და ბაკურცი-
ხემლი გადაჰყენენ და თავად რევანის
სახლს მიადგნენ და გარს შემოეკრტყენ.
მ. რევან მაჩხანე, თ. ილია აბხაზი და
ხოსროვეი გამოეგებნენ ხალხსა და არი-
გებდნენ; მაშინ, ხოსროვეის დამოწმებით
ხალხმა მიუგო: „მოგვეცით მაზრის უფ-
როსი, კამისიამ დაგვჭამა, ხელეშეიფეს
ვენაცუალებით, წაგვიყვათ. დედაკაცებმა
კიდევ მოჰყვარეს ოლბელიანს სამ-სამი
წლის ყმაწვილები და მოახსენეს: „ესე-
ნიც კი სიებში ჩაადგეს, ამათ რა სალ-
დათობა უნდა გასწიონ?“...

„მაგრამ დედაკაცებმა აღარ მოისვენ-

ნეს, შეცვიდნენ სახლში და დაუწყეს ცემა გრაფ ტაზენგაუზენს, მრბელიანს, ბუდიმ-ლეკოვიჩს და სხვ. ამ დროსვე, როდესაც სახლში ცემა-ტყევა გაიმართა, ხალხმა ხელი სტაცა, რაც ქი წაიღებოდა რევაზის სახლიდან: იარაღი, ვერცხლის ჭურჭელი, ტანსამოსი და სხვ.

ამის გამო დატუსაღებული პირები ხალხთაგან: 1) დიმიტრი ქუდაშვილი, 2) ოპა მარინაშვილი, 3) ბეგენა ღარიჩაშვილი, 4) ბეგენა აღხანაშვილი, 5) ილია მირინაშვილი, 6) ილია მჭედლიშვილი, 7) სოსია მექუდიშვილი, 8) ილია ნაობანდიშვილი, 9) იასე ნარეკლიშვილი, 10) ბეგენა სვიმონაშვილი, 11) ბაპრო პობახიძე, 12) ნოდარ ხატიაშვილი, 13) ილია ძვირიკაშვილი, 14) მელანია ხელაშვილი, 15) შეფე ღვითაშვილი, 16) ზაზიკო ზაგებაშვილი, 17) ბიორგი შიოშვილი, 18) ღათიკო მარტაშვილი, 19) საბედო ზულხადარაშვილი და 20) ჯანდიერ სიკრაშვილი მტყუნდებიან იმაში, რომ 5 თიბათვეს 1878 წ. ზოგი ხანჯლით და ზოგი ჯოხით მომზადებული ხალხი ანაგის, მაქირის, მაშხანის, საქობის და ქარდანახის სოფლებისა შეიკრიბა ანაგის ხევზე, რათა წინ აღდგომოდნენ ამ დღის დანიშნულ მილიციონერების ამორჩევას წილის-ყრით, გამოუტხადეს გამოვლილ უფროსს ტაზენგაუზენს, რომ სალდათს წილის-ყრით არ მისცემენ და მერე დადევნებულნი მივიდნენ თ. რევაზის სახლში და ისევ ყვიროდნენ „სალდათს არ მოგცემთ“ და მოითხოვეს გარეთ უფროსი და როცა ვერ მიიღეს, ესენი ძალის მოხმარების მაგალითის საჩვენებლათ პირველნი შეცვიდნენ სახლში და იქ სთხოვედნენ, რათა უფროსს მიეცა მათთვის მოსაწოდებელი სიები, და დაუწყეს მას ცემა და სხუბსაც — ღენერალ მრბელიანს, ბუდიმ-ლეკოვიჩს, ქურილოს, ლევან ანდრონიკავს, ჩაფარს და მოსამსახურეს...

„და რადგან ზემოთ მოხსენებული მოქმედება ამ პირებისა შეადგენენ პირდაპირი შეუპოვრობას და წინააღმდეგობას მართებლობისაგან დაწესებულებისა ზედ მოტანებული ძალის—ხმარებით და გაცარცვით, რომელიც იხსენებოდა 263, 1633, 1639 და 1643 სტ. Улож. о наказ., გვრთვე 279 ტ. სამხედრო უსტავისა, თანხმით მისი შმალტესობის ბძანებისა მოხსენებული დამნაშავენი მიეცემიან სამხედრო სამსაჯულოს, სამხედრო დროების კანონებთა და გეარათ.“

მსე თავდება პროკურორის აქტი. მს საქმეში ექვსი თვეს წარმოებაში იყო, ეს რაცი კაცი დაჭერილები იყვნენ და ეცხლა მოვიდა დროებით სამხედრო სამსაჯულო.

(ზაგრძელება)

წერილი რედაქტორთან

I ბატონო რედაქტორო!

ამ სამის წლის წინათ, ე. ი. 1875 წელსა, თებერვალში, როგორც მახსოვს,

მთილისში დაარსდა კომიტეტი, რომელსაც უნდა ეზრუნვა ჩვენ გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობაებზე.

მაგრამ დღევანდლად ამ კომიტეტის შრომას თითქმის ვერაფერს ვერ ვხედავთ. ამის გამო მსურს გკითხოთ, უფრედაქტორო: კიდევ არსებობს ის, თუ არა? თუ რომ კიდევ სადმე არსებობს, რა მიზეზია, რომ აქამდე ენერგიულად არ ჰკიდებს ხელს თავის დაპირებულ კეთილ საქმეს? ნუ თუ ის ითვლება მხოლოდ ფარმისთვის!

ღრო არის კომიტეტმა გაიღვიძოს და რაიმე ღონის-ძიება იხმაროს, რომ იმ მდგომარებაში არ მიიყვანონ ზემოხსენებული ამხანაგობაები, რა მდგომარებაშია იყვნენ პურის მალაზიები. ბლესკაცები თავათ ამაზედ დაფთხალნი არიან; ამბობენ: სხვა სარგებლობსო.

რომ ასევე არ უყუროს სოფლის ხალხმა ამხანაგობას, საჭიროა, ანგარიშის მოთხოვნა, რევიზიის მოხდენა ყოველ წელიწადს ალაგობრივ.

მხოლოდ ამით შეიტყობა, როგორ მოქმედობენ მმართველნი, და არა იმ ანგარიშებიდამ, რომელთაც ბეჭდვენ გაზეთებში. შეიძლება, რომ ბანკით სარგებლობდნენ ისინი, ვისაც ამის ნება არა აქვს, საქმეები უწყსოთ მიჰყავდეთ და მასთანავე სწორე ანგარიში წარმოადგინონ. როცა ამხანაგობას ეყოლება ნამდვილი ანგარიშის მომთხოვნელი, მაშინ, უეჭველია, ხალხიც და მმართველნიც უფრო მუყაითათ იქმნებიან.

შეუძლიანთ გვითხრან: საიღამ ავიყვანოთო მოანგარიშე და ვის ხარჯით უნდა იმგზავროსო იმანო? ჩვენ ვუპასუხებთ: კომიტეტის წევრთა მიიღონ ჯერობით ეს შრომა თავიანთ თავზე; ვისაც მეტის ხარჯის ეშინიან, იმას კი უნდა მოვასხენო, რომ ამ გვარ კეთილ საქმეს ვინც იკისრებს, არ შეიძლება არ იზარალოს ცოტად მაინც. ჩემის აზრით, ყველას მოვალეობა აქვს შეეწიოს კეთილ საქმეს ყოველ გვარ ღონის-ძიებით, სანამ ის წელს გაიმადრებს და შეიძლებს იმათ დასაჩუქრებას, ვისაც იმისთვის უანგაროთ უშრომნია. და ამხანაგობის საქმე თუ წავიდა კარგად, საჭიროა იმათ ვადახადონ ხოლმე თავიანთ მოგებიდან რაოდენიმე ფული კომიტეტის სასარგებლოთ და მაშინ მოანგარიშებასაც მეტი ხარჯი აღარ მოუვათ.

იმედი მაქვს, ამ ჩემ სიტყვას საწყინოთ არ მიიღებს კომიტეტი, თუ ის კიდევ სადმე არსებობს, და უფრო დიდს ხალხისით შეუდგება ზემოხსენებულ კეთილ საქმეს.

მინამ ვრთ ამხანაგობისაგან

ბიორგობისთვის 25-ს

II

შვალთ რედაქტორო!

„დროების“ მე-241 №-ში წავიკითხე თქვენი შენიშვნა, რომელიც გვაუწყებს, რომ თქვენ აღარ პოვებთ საჭიროდ გარძელებას იმ პოლემიკისას, რომელიც

ატყდა უფ. ა. მესხსა და ჩემს შუამთავრის ფულების თაობაზედ, მიზნით წრეს ფულები ჩაებაო.

მე სრული თანახმა ვარ თქვენის აზრისა და არც არასოდეს მიუარებია. მხოლოდ ეხლა გთხოვთ, თქვენის გაზეთის შემწეობით, მოხსენდეს წრეს: მოიყარონ თავი საჩქაროთ და გამოიჩინონ ის პირები, რომლებმაც უნდა მიიღონ ჩემგან ანგარიში, თუ გინდ იგივე პირები, რომელნიც უ. მესხმა დაასახელა თავის პასუხში, და განმათავისუფლონ ამ უბრალო ლაპარაკისაგან; თორემ, როგორც ვატყობ, კიდევ გავრძელებდა ეს საქმე და ისევ მე ვამოვალ, ზოგიერთის აზრით, დანაშაული.

ივანე აბაშიძე.

მთიანისი, 26 ნოემბერი.

სამართალი

ანდრეევსკის ძალის საჩხე

მთილისის სამოსამართლო პალატაში

ხსლმა 28 ნოემბერს.

მრმა ექსპერტმა—უფ. დოქტორმა მალინინმა და ქიმიის მაგისტრმა სტრუვემ, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ მიკროსკოპით გაეინჯათ—თუ რა იყო ნ. ანდრეევსკის წაღების ძირში, ერთხმად გამოაცხადეს, რომ ჩვენ იმაზე მკენარეული ნაწილების მეტი ვერა ვნახეთ-რაო. და გამოცნობა—თუ რა გვარ მკენარეს ეკუთვნის ეს ნაწილები, ამ ჟამად ძალიან ძნელია და ბევრ დროსაც მოითხოვსო. მიწის ნაწილები კი აღარ დარჩენილიყო იმ წაღების ღან-ჩაზედაო.

ამ ჩვენებით დაკმაყოფილდნენ ორივე მხარეები და, შემდეგ ხსლმის ნახევარი საათის შეჩერებისა, პროკურორმა დაიწყო თავის გამამტყუენებელი სიტყვა.

პროკურორის ბიკოვის სიტყვაში იმ აველაციოში, რომელიც ბრალდებულთა დ. და ნ. ჩქოტუამ და პ. ბაბისონიამ შეიტანეს ოლქის სასამართლოში, ისინი ამტკიცებენ, რომ, არათუ იმათ არ მოუკლათ ნ. ანდრეევსკისა, ის საზოგადოთ არ არის ძალით მოკლულიო და, თუ დამტკიცდა, რომ მართლა მოკლულია, ამ შემთხვევაში, უეჭველია, ბრალი ჩვენ დაგვიდებოა. ამის გამო მე პირდაპირ საქმის გარემოებიდამ დავიწყებ. საქმის გარემოებიდამ დავინახეთ ჩვენ—ჯერ მოკლულია ნ. ანდრეევსკისა და მერე ჩაგდებული; თუ მართლა უბანია და უსაბიდათ პირდაპირ წყალში, უბედურის შემთხვევით დამღრჩვალა.

შველახე პირველად უნდა ითქვას, რომ ყველა მოწმეები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ნ. ანდრეევსკისა ჰქვიანი, წინ დახედული და გონიერი ქალი იყო. ამას გარდა ზოგიერთ მოწმეებმა უჩვენეს, რომ სიკვდილის წინათ რამდენიმეჯერ ჩამოაგდო იმან მტკვარში

ბანაობაზე. ლაპარაკი და ყოველთვის გაკვირვებითა და ზიზლით ამბობდა— თუ როგორ შეიძლება ამისთანა მღვრიე წყალში ბანაობაო. ამასთანავე ის იყო მორცხვი ქალი და იმისთანა მთვარიან ღამეს, როგორც იყო 1876 წლის 22 ივლისს, შეიძლება მტკვრის მეორე ნაპირზე ხალხი ბანაობდა და ამისთანა დროს ის არ გაიხდიდა ტანისამოსს და არ ჩავიდოდა წყალში. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ნ. ანდრეევსკისა თავის წებით არ ჩასულა საბანებელად წყალში. ეს გარემოება ის გახლავთ, რომ იმას არავითარი საცვალი არ წაუღია ნიფხა-პერანგის გამოსაცვალად. არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ნ. ანდრეევსკისა ნიფხა-პერანგით ჩავიდა წყალში და მერე ტიტველ ტანზე ჩაიცვა კაბა და კოჭტა და ისე დაბრუნდა ოთახში.

ამ ნაირად მე ვამტკიცებ, რომ სულელობა, სიგიჟე იქნებოდა ნ. ანდრეევსკის ქალის მხრით, რომ ის ამ დროს, უსაცვლოთ და საზოგადოთ ამისთანა გარემოებაში ჩასულიყო მტკვარში და ებანა.

იქნება მითხრან, რომ ძალად მოიკლა თავი, თავის წებით ძალად დაიღრჩოვო? ამას კიდევ უფრო ნაკლები საფუძველი აქვს. ჩვენ ვიცით, რომ ნ. ანდრეევსკისა იყო მხიარული ხასიათის ქალი, რომ იმას უყვარდა სიცოცხლე, რომ ისეთს გარემოებაში იყო, სიცოცხლე არ მოსძულდებოდა. სხვათა შორის ამას გვიმტკიცებს ის წაგნიც, რომელიც სიკვდილის წინა დღეს იმან მისწერა თ. შ. შარვაშიძეს.

ნანო ანდრეევსკისა რომ თავის წებით არ დამღრჩვალა და არც უბედური შემთხვევის გამო, ამას ისიც გვიმტკიცებს, რომ იმის გვამი შარაიაზე წახეს, იმ ადგილას, რომელიც ანდრეევსკის სახლიდამ ვპ ვერსით არის ნომორებული. მიწავევებმა ცხადთ დაგვიმტკიცეს, რომ ოფილისში დამღრჩვალ ადამიანს იმ ადგილას მტკვარი ორ-სამ დღეზე აღრე ვერ ჩაიტანსო. ადვილადაც წარმოვსადგენია ეს, რადგან მიცვალებულს წყალი ძირს მიათრევს და ათასი დაბრკოლება— ორმოები, ქეები და სხვა ხედება და უშლის მდინარეს იმის ჩქარა წაღებას. მქსპერტმა ტკაჩოვმა მოახსენა აქ სასამართლოს, რომ ქალაქილამ მეთექვსმეტე ვერსზე მტკვარი რამდენიმე რტოთ იყოფოდა და ეს რტოები ისე პატარაები არიან (ზოგან ოთხი გოჯი), რომ მკათათვეში როცა მტკვარი პატარაა, იმ ტოტებს მძიმე საგნის წაღება სულ არ შეუძლიანთ.

მაშასადამე თუ წყალს არ წაუღია შარაიაზამდინ ნ. ანდრეევსკის დამღრჩვალ გვამი, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ოფილისში არ არის ჩაგდებული.

მე მგონია ცხადთ დავამტკიცე, რომ ნ. ანდრეევსკისას არ უბანია, რომ ის თავის წებით არ არის წყალში ჩავარდნილი. მაშ ერთი-ღა მოსაზრება დავგრჩენია; ის განზრახ ძალ-დატანებით არის

მოკლული და შემდეგ გატანილი ქალაქ გარეთ.

რა ენახე მტკვრის ნაპირზე, საცა ვითომც იბანა ნ. ანდრეევსკისამ? ენახეთ იმის ტანისამოსი. წაღები ცხადთ ამტკიცებენ, რომ იმ ადგილას, საცა ისინი ეწყო, ნ. ანდრეევსკისა არ ჩასულა. ეს ადგილი ტალახიანი ადგილია, მუდამ წყალი გამოდის აქ და ფხვ-გაუსვრვლად ჩასვლა ნაპირზედ ყოველად შეუძლებელია. წაღები კი სრულიად მშრალი და სუფთა იყო. სხვა რომ არა გვექონოდა, ეს დამტკიცებაც კმარა, ვსტყვათ, რომ ნ. ანდრეევსკისას არ უბანია აქ და მაშასადამე წყალში არ დამღრჩვალა.

მქსპერტების ჩვენებაც, გარდა პროფ. საროკინისა, ამასვე გვიმტკიცებს. იმათ ისეთი იარები უნახეს მიცვალებულს ტანზე, რომელნიც, უეჭველია, სიცოცხლეში უნდა იყოს დამჩნეული. ოფილისელ მქსპერტებს უფრო მომეტებული დაეჯერებათ, ჩემის ჰაზრით, ვინემ პროფ. საროკინს: ამათ ნახეს მიცვალებული, ამათ გასჭრეს ის და მაშინვე პროტოკოლი შეადგინეს. პროფ. საროკინს კი თვითონ საგანი გამოძიებისა (გვამი) არ უნახავს. მაგრამ მქსპერტების ჩვენებას ჩემთვის თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. საქმე იმაშია მხროლად დამტკიცდეს, რომ ნ. ანდრეევსკისას თავის წებით არ უბანია თავის სახლის წინ, მტკვარში, — და ეს, ჩემის ჰაზრით, სრულად, დაურღვეველად დამტკიცებულია.

(აქ სხდომა ნახევარი საათით შეჩერეს, და შემდეგ პროკურორმა კიდევ განაგრძო თამის სიტყვა).

სუთი ბრალდებული იყო ამ საქმეში. მკრი ამთვანი შორიძე და მგელაძე უკვე მოკვდნენ. მაგრამ სიკვდილის წინათ ესენი გამოტყდნენ; ამათ სტყვეს, რომ ნ. ანდრეევსკისა ღ. ჩქოტუას განკარგულებით და ბრძანებით იყო წაღრჩობილი და შემდეგ ვილაც თავმებეული კაცებმა ჩააგდეს მტკვარშიო. მართალია მლქის სასამართლომ ეს გამოტყება არ მიიღო მხედველობაში რადგან ეს გამოტყება მოხდა პოლიციის უკანონო საშუალებით, რადგან ლოლაძემ გაიძევრობით და ჯილდოს დაპირებით გამოსტყება ისინი; მაგრამ, რაც უნდა იყოს, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება; გამოტყებას მაინც უნდა მიეცეს თავის ძალა და მნიშვნელობა. ვწუხვარ, რომ პოლიცია უკანონოთ მოიქცა. რომ ლოლაძემ ვშმაკობით გამოსტყება შორიძე და მგელაძე, მაგრამ ვიმეორებ, რომ ის გამოტყება მაინც ყურადღებაში მისაღებია.

ზაბისონია ამბობს, რომ მე მაწვალდებდნენ და ამნაირად უნდოდით მაინცა-და-მაინც მეჩვენებინოს, რომ ჩვენ მოვკალით ნ. ანდრეევსკისა. ოთ რამდენად დაეჯერება იმას ამას ის გვიმტკიცებს. რომ იმის სიტყვით პროკურორი ხლადოესკიც თითქო ეხმარებოდა ლოლაძეს და ისიც სხვა-და-სხვა გაიძევრობით, მოსყიდვით და სხვ. ცდილობდა იმათ გამოტყასო. დარწმუნებული ვარ, სენატში რომ მოუხდეს პ. ზაბისონის

ყოფნა, იქაც კი იმას ეტყვის, რომ თქვენ, უფ. მოსამართლენო, აწვალდებით და ცდილობდით იმას გამოტყებას.

შემდეგ პროკურორმა თითოეულ ბრალდებულზე, ე. ი. ღ. და ნ. ჩქოტუებზე და პ. ზაბისონიაზე მოიყვანა ის გასამტყუებელი საბუთები და ფაქტები, რაც მლქის სასამართლოს პროკურორისაგან იყო მოყვანილი. სტყვა, რომ ღ. ჩქოტუა მოთავე იყო ამ საქმეშიო, იმის ძმამ ნ. ჩქოტუამ აგრეთვე იცოდა და ისიც ხელს უწყობდაო და პ. ზაბისონია კი პირ-და-პირ მკვლელობაში ერია, იმის გაუხაჭუნლები ამტკიცებენ ამასო.

რაც შეეხება მოტივებს, ე. ი. იმას, თუ რა განზრახვით, რა სარგებლობისათვის მოჰკლეს ბრალდებულთა ნ. ანდრეევსკისა, — ეს ყველა, მართალია, არა სჩანს საქმიდამ, მაგრამ ეს სასამართლოსათვის სულ ერთია. სასამართლოს მოტივებს უქონლობა არ დაუშლის თავის კანონიერი განჩინება დაადგინოსო.

ამის გამო, მე ვფიქრობო, ასე გაათავა პროკურორმა თავის სიტყვა, რომ მლქის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა დაამტკიცოს სამოსამართლო პალატამ ღ. ჩქოტუას და პ. ზაბისონიას შესახებ და რაც შეეხება ნ. ჩქოტუას, იმას უნდა გადაეწყვიტოს სასჯელად: 10 წლით კატორღაში გაგზავნა სიმბირში.

(სხდომა შეჩერეს ნასადილევის სამ საათამდინ).

(მაგრძელება)

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პატიარზული, 27 ნოემბერს. ბუშინ სალამოს საზამთრო სასახლეში იყო დაწესება წმ. ზიორგის ჯვრის ორდენისა. ლენ. ბურკომ მიიღო ამ წმ. ზიორგის ჯვრის მეორე ხარისხი, ლენ. ლაზარემა ლენერალ-ადიუტანტის ჩინი, ლენ. დრაგომიროვი ჩაირიცხა მოლინის ქვევითა პოლკის სიაში. ღ. მ. მოსტანტინე მოსტანტინეს ძემ ხელმწიფისა და სამშობლოს ერთგულებაზე დაიფიცა.

„შმართებლობის მოამბე“ გვაცნობებს, რომ მინისტრი ტამაშევი, ავთამყოფობს გამო, დაიხზოვება თავის თანამდებობისაგან; იმას მოეცა წმ. მლაღმიძის ორდენი პირველის ხარისხისა, შიწაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი მაკოვი შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებელად დაინიშნება.

სოქია, 26 ნოემბერს. „მოლოისს“ დეპუტა: წმ. ზიორგის დღეს აქ გაიხსნა სამხედრო სასწავლებელი; მოლოგარიელებმა აღტაცებით მოისმინეს ეს ამბავი.

ბერლინი, 27 ნოემბერს. ო. ზორჩაკოვი ზერმანის იმპერატორმა და ტახტის

